

სწავლების საფეხური	პროფესიული, III საფეხური
სპეციალობა	მეფუტკრეობა
პროგრამის ტიპი	აკადემიური
პროგრამის ხელმძღვანელი	არჩილ ჭაღალიძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ფორმა	დღის სწავლება
პროგრამის მოცულობა	60 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მეფუტკრის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ან შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება კანონით დადგენილი წესით.
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ფორმატი	ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო, საწარმოო პრაქტიკა, ინდივიდუალური მუშაობა
საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მიზანი	<p>მეფუტკრეობის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები აღნიშნული სპეციალობით. სტუდენტები დაუფლებული იქნება მეფუტკრეობის განვითარების ისტორიას, ფუტკრის მოვლა-მოშენების ზოგად პრინციპებს. აგრეთვე ფუტკრის დაავადებებსა და მათთან ბრძოლის ღონისძიებებს. გაეცნობიან თავლოვანი მცენარეებს და მათი გავრცელების არეალს, ფუტკრის ექვსი სახის პროდუქტის მიღებას, თვისებებს, გამოყენებას, შენახვის საკითხებს. კურსდამთავრებულს შეეძლება საკუთარი ბიზნესის წარმართვა მეფუტკრეობაში, აგრეთვე შეძლებს იმუშაოს მეფუტკრეობის საწარმოებში, მეფუტკრეობის ხელსაწყო იარაღების დამამზადებელ მინი ქარხანაში და სხვა.</p>
სწავლის შედეგები და კომპეტენციები	<p>ცოდნა და გაცნობიერება. იცნობს: ფუტკრის ოჯახის ბიოლოგიას, მუშა, დედა და მამალი ფუტკრის მიერ შესრულებული სამუშაოების თავისებურებებს, თუ რა სახის სამუშაოები უნდა ჩატარდეს საფუტკრეში სეზონების მიხედვით; სამკურნალწამლო პრეპარატების გამოყენების წესებს ფუტკრის ოჯახზე მისაცემად; ფუტკრის ინფექციურ ინვაზიურ და არაგადამდებ დაავადებებს, მათი მკურნალობის თავისებურებებს.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. შეეძლება ფუტკრის პროდუქტების მიღება, გადამუშავება, შენახვა, სამკურნალწამლო პრეპარატების გამოყენება, შეეძლება დედების ხელოვნურად გამოყვანა. სუსტი ოჯახების შეერთება, ცრუ დედების აღმოფხვრა საფუტკრეში; სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება; სეზონურად განახორციელოს სამთაბარო მარშრუტების დადგენა და განხორციელება.</p> <p>დასკვნის უნარი. შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს ინფორმაცია და გამოავლინოს დასკვნის დამოუკიდებლად გაკეთების გარკვეული უნარი.</p> <p>კომუნიკაციის უნარი. შეუძლია ურთიერთობა პედაგოგებთან და სტუდენტებთან. შეუძლია მეფუტკრეობასთან დაკავშირებით მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე.</p> <p>სწავლის უნარი. შეუძლია სწავლა დამოუკიდებლად და აგრეთვე სხვისი ხელმძღვანელობით</p> <p>ღირებულებები. იცნობს პროფესიულ საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს, იცის ფუტკრის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში და მისი პროდუქტების მნიშვნელობა მედიცინაში.</p>
დასაქმების სფეროები	სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა სახის ფერმერული მეურნეობებში, სასოფლო - სამეურნეო ან დარგობრივი წარმოებებში.
აკადემიური რესურსი	პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტზე მოწვეული აკადემიური დოქტორები და პრაქტიკოსი მეფუტკრეები
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	სასწავლო პროგრამის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა შესაძლებელია ფაკულტეტის სასწავლო-საცდელ ბაზაზე, ფაკულტეტის მეფუტკრეობის ბაზაზე, კერძო ფერმერულ მეურნეობებში. ფუტკრის ხელსაწყო იარაღების დამამზადებელ საამქროში.

<p>საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია. მოიცავს 60 კრედიტს. საიდანაც 30 კრედიტი ეთმობა ძირითადი დისციპლინებს, ხოლო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასატვის გათვალისწინებულია 30 კრედიტი.</p> <p>სასწავლო კურსები</p> <p>უცხო ენა - 4 კრედიტი</p> <p>ქართული ენა მეტყველების კულტურა - 3 კრედიტი</p> <p>ინფორმატიკა - 3 კრედიტი</p> <p>ფუტკრის ოჯახის ბიოლოგია და ისტორიული ცნობები - 2 კრედიტი</p> <p>მეფუტკრეობის ინვენტარი და საფუტკრის ნაგებობა - 3 კრედიტი</p> <p>ფუტკრის მოვლა-მოშენება - 5 კრედიტი</p> <p>ფუტკრის დაავადებები. მავნებლები, მტაცებლები - 5 კრედიტი</p> <p>საქართველოს თაფლოვანი მცენარეები და მათი გავრცელების არეალი - 3 კრედიტი</p> <p>ფუტკრის მიერ დამზადებული პროდუქცია მისი გადამუშავება და შენახვა - 3 კრედიტი</p> <p>სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა - 20 კრედიტი</p>
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>(ადეკვატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის)</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; <p>საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>შეფასების ფორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შუალედური შეფასება • დასკვნითი შეფასება <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტესტი • ზეპირი გამოკითხვა • პორტფოლიო • ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი • დაკვირვება და დემონსტრირება